სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

18/04/2026

MES 8 26 0000449611

ბრძანება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის „პლასტმასის შემდუღებელი“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2026 წლის 14 აპრილის №427512 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ: 402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა „პლასტმასის შემდუღებელი“ (02515) (დანართი).

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02515	პლასტმასის შემდუღებელი	მომზადება	მეოთხე	4	ქართული	20	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2020 წლის 23 მარტის

ბრძანებით N84

.....

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: პლასტმასის შემდუღებელი
პროგრამის სახე: [redacted] პროფესიული მომზადება ☐ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐ 3 [redacted] 4 ☐ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 4
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მომზადდეს კვალიფიციური შემდუღებელი, რომელიც შეასრულებს პოლიეთილენის მილების შედუღების სამუშაოებს, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის შესრულებას და შეიძენს ისეთ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას იყოს კონკურენტუნარიანი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. პლასტმასების შედუღებისათვის საშემდუღებლო მოწყობილობის გამოყენება
2. პლასტმასების გახურებული იარაღით შედუღება
3. პლასტმასების ულტრაბგერით შედუღება
4. პლასტმასების ხახუნით შედუღება

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: შედუღება

მოდულები:

1. პლასტმასის შედუღება

პროგრამის მოკლე აღწერა: პლასტმასის შემდუღებლის პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს სფეროში არსებული კადრების მომზადებას დროის მოკლე პერიოდში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური პლასტმასის მომზადებისთვის. . წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 4 კვირა და 80 საათი, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს 20 საათს. პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელს დახვდება მატერიალური თუ საბიბლიოთეკო რესურსითა და შედუღების სახელოსნოთი სრულად აღჭურვილი სასწავლო დაწესებულება და პროგრამას შეასწავლიან მრავალწლიანი გამოცდილების კვალიფიციური განმახორციელებელი პირები.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი განათლება.პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	1. პლასტმასების ზოგადი დახასიათება და თვისებები 2. პლასტმასების კლასიფიკაცია. თერმოპლასები და რეაქტოპლასტები 3. პლასტმასების აგებულება და თვისებები 4. მოწყობილობა პლასტმასების შედუღებისთვის 5. პლასტმასების შედუღების მეთოდები და მათი ზოგადი დახასიათება 6. მოწყობილობის შერჩევა შედუღების ხერხის და მასალის თვისებების მიხედვით	1		ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A;C
2	1. პირაპირა შედუღება 2. ჩასოლვით შედუღება 3. გახურებული სოლით შედუღება 4. თერმოიმპულსური შედუღება 5. გორგოლაჭოვანი შედუღება 6. ნადნობით შედუღება	2		ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A;C
3	1. პლასტმასების ულტრაბგერით შედუღების სახეები (კონტაქტური, გადამცემი) 2. მასალები, რომელთა შედუღება შეიძლება ულტრაბგერით 3. შედუღების რეჟიმების შერჩევა 4. შედუღების რეჟიმების დამოკიდებულება მასალის თვისებებზე, ფორმასა და სისქეზე 5. შედუღების ძირითადი პარამეტრები	3		ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A;C

4	1. ხახუნით შედუღების თავისებურებანი 2. ხახუნით შედუღების სქემები 3. ერთი დეტალის ბრუნვით შედუღება 4. ორი დეტალის ბრუნვით შედუღება 5. შუალედური სადგმელის ბრუნვით შედუღება 6. მასალები, რომელთა შედუღება შეიძლება ხახუნით	4		ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A;C

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა "შედუღება"	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
პლასტმასის შედუღება - 07.11.1.7	1. პლასტმასების შედუღებისათვის საშემდუღებლო მოწყობილობის გამოყენება 2. პლასტმასების გახურებული იარაღით შედუღება 3. პლასტმასების ულტრაბგერით შედუღება 4. პლასტმასების ხახუნით შედუღება